



# საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/1045

02 / აგვისტო / 2019 წ.



KA000019973425219

**ქალაქ ფოთში, რუსთაველის რკალი N26-ში მდებარე უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N04.02.15.124) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 114-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების სახით გადაცემის შესახებ“ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, 2019 წლის 31 ივლისის, N 1/1-3045 ბრძანების საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

**მუხლი 1.** ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირდეს, ქალაქ ფოთში, რუსთაველის რკალი N26-ში მდებარე 1905.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N04.02.15.124), დამატებითი ქონების სახით.

**მუხლი 2.** ეთხოვოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დაარეგისტრიროს ბრძანების პირველ მუხლში მითითებული უძრავი ქონება.

**მუხლი 3.** ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურიას.

**მუხლი 4.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N3).

**მუხლი 5.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად



გონა კურდღელია